

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება;

ბ) კანონპროექტის მიზანი

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცება;

გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით განისაზღვრება 2018 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები. 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

რეფორმების 4 პუნქტიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და დასახული შედეგების მიღწევის მიზნით, მნიშვნელოვანია არსებული ფისკალური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება. 2017 წლის ბიუჯეტთან ერთად საქართველოს პარლამენტში წარდგენილი იყო 2017-2020 წლების ბიუჯეტების ძირითადი პარამეტრები, სადაც მოცემული იყო აღნიშნულ პერიოდში, როგორც საბიუჯეტო დეფიციტის, ასევე მიმდინარე და ინფრასტრუქტურული ხარჯების ურთიერთშეფარდების მაჩვენებლები.

აღნიშნული ფისკალური ჩარჩო იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) მოლაპარაკებების მთავარი დოკუმენტი და სწორედ აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით მიმდინარე წელს ხელი მოეწერა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ახალ, სამ წლიან პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსთვის 285 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას და სრულად ასახავს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს და ქვეყნის მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზებს სამუალოვადიან პერიოდში.

2018-2021 წლებში დაგეგმილია სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება. ეს ინვესტიციები ორიენტირებულია ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე, რომლებმაც უნდა წახალისოს ინვესტიციები და ეკონომიკური აქტივობა კერძო სექტორში. ამასთან, პროექტებს ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი ეფექტები ექნება არა მხოლოდ მათი განხორციელების პერიოდში, არამედ მათი დასრულების შემდგომაც.

მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები (გზები, ხიდები, გვირაბები, აეროპორტები, საკურორტო ზონები, წყლის და ენერგოინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გზით.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლის პროგნოზირებისას მხედველობაში იქნა მიღებული მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში და მომავალი წლისთვის სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზები როგორც საქართველოს, ასევე რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ტენდენციების შესახებ. ინფორმაცია 2017 წელს ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით ვრცლად არის წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართულ მასალებში (2017 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა). მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომით არის დაგეგმილი და 2018 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდა 4.5%-ს შეადგენს, ხოლო მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 3.5%-ს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3%-ის ფარგლებში.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2018 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 40.4 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2021 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 51.9 მლრდ ლარამდე.

არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით, 2018 წელს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 10 240.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 25.3%-ია.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გრანტებისა და სხვა შემოსავლების ხარჯზე, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება 95 მლნ ლარით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფიციტი (რომელიც ეყრდნობა GFMSM 2001 კლასიფიკაციას) მშპ-თან მიმართებაში განისაზღვრება 1.4%-ით, ხოლო 2021 წლისათვის შემცირდება მშპ-ის 1.2%-მდე. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში ფისკალური ჩარჩოს ინდიკატორად გამოიყენება მოდიფიცირებული დეფიციტი, რომელიც GFMSM 2001 კლასიფიკაციისგან განსხვავებით ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსაც განიხილავს, როგორც დეფიციტის ფორმირების წყაროს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად 2018 წლის დეფიციტი მშპ-თან მიმართებაში განისაზღვრება 3.0%-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში შემცირდება 2.5%-მდე.

2017 წლიდან დაწყებული ხარჯების ოპტიმიზაცია კვლავ გრძელდება და 2018 წელს მიმდინარე ხარჯები განისაზღვრება მშპ-ის 23.4%-ის ფარგლებში (2017 წელს 24.8%), ხოლო 2021 წლისათვის შემცირდება 20.8%-მდე.

პარალელურად ხორციელდება მთავრობის საშუალოვადიან ჩარჩოში ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად შესაბამისი სახსრების მობილიზება და ნაერთი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით 8.0%-ზე მეტი მიიმართება.

კანონპროექტი შესაბამისობაშია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ზღვრულ პარამეტრებთან:

- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი (GFMSM 2001) მშპ-თან მიმართებაში – 1.4% (ზღვრული მაჩვენებელი - 3%);
- ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამური მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში - 29.9% (ზღვრული მაჩვენებელი - 30%);

- სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში - 44.8% (ზღვრული მაჩვენებელი - 60%).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 12 393.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 95.0 მლნ ლარით, მათ შორის:

- შემოსავლები - 10 215.0 მლნ ლარი;

- საგადასახადო შემოსავლები - 9 470.0 მლნ ლარი (მშპ-ს 23.4%), მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 780.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 6.9 პროცენტს შეადგენს;
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 630.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 1.6 პროცენტია;

2018 წლის ბიუჯეტში მოგების გადასახადი 2017 წელზე ნაკლები მოცულობით არის დაგეგმილი, რაც გამოწვეულია მოგების გადასახადის რეფორმით, კერძოდ მიმდინარე წელს (1 აპრილამდე) მოგების გადასახადში შემოვიდა კომპანიების მიერ დეკლარირებული 2016 წლის მოგებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი. (2017 წლამდე არსებული ნორმებით, 4 ჯერ საავანსოს იხდიდნენ წლის განმავლობაში და მომდევნო წლის პირველ აპრილამდე ფაქტობრივი მოგების გადასახადთან სხვაობას იხდიდნენ მოგების გადასახადის დეკლარაციასთან ერთად). ახალი მოგების გადასახადის რეგულაციით კომპანიები საავანსოებსაც აღარ იხდიან და არც მომდევნო წლის აპრილში ეწეებათ დასადეკლარირებელი და გადასახდელი თანხა.

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 390.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 10.9 პროცენტს შეადგენს;
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 450.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 3.6 პროცენტს შეადგენს;

აქციზის გადასახადის დაგეგმილია მიმდინარე წელს მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით. შემცირება გამოწვეულია:

1. თამბაქოს აქციზი:

- 2017 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული თამბაქოს პროდუქციის მარაგები (ძირითადად იმპორტირებული) შემცირდა მნიშვნელოვნად. 2016 წლის განმავლობაში საქართველოში საშუალოდ თამბაქოს პროდუქციის 2 თვის მარაგი არსებობდა მუდმივად. 2017 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული მარაგები განახევრდა და საშუალოდ საქართველოში თამბაქოს პროდუქციის 1 თვის მარაგია (30 მლნ კოლოფი). იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნულ მარაგებზე კომპანიების მიერ აქციზის გადასახადი გადახდილია გასულ წლებში, მარაგების შემცირება ერთჯერადად აისახა აქციზის გადასახადის სახით ბიუჯეტში შემოსულ თანხებზე;
- აქციზის განაკვეთების ცვლილების შედეგად, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად შემცირდა თამბაქოს მოხმარება საქართველოში. 2016 წლის იანვარ-აგვისტოში სულ რეალიზებული იყო 5,8 მილიარდი ლერი სიგარეტი, ხოლო 2017 წლის იანვარ-აგვისტოში

სულ რეალიზებულია 4,9 მილიარდი ლერი სიგარეტი. თამბაქოს მოხმარება მიმდინარე წელს (8 თვის მონაცემებით) შემცირებულია 900 მილიონი ლერით, რაც არის მოხმარების 15.5%-იანი შემცირება. იმის გამო რომ თამბაქოს მოხმარება 2017 წელს შემცირდება საპროგნოზო მაჩვენებელზე (8%) მეტად, (საპროგნოზო შემცირება - 0.7 მილიარდი ლერი, ხოლო ფაქტიური შემცირება - 1.3 მილიარდი ლერი) ბიუჯეტში აქციზის გადასახადის სახით მობილიზებული თანხები ჩამორჩება 2017 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს.

2. ავტომობილების აქციზი:

- საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირებდა იმპორტირებული ავტომობილების ასაკი (9 წლამდე ავტომობილების წილი მთლიან იმპორტში ბოლო 4 თვის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში გაიზარდა 29%-იდან 76%-მდე), რაც აისახა საბიუჯეტო შემოსავლის ნაწილზეც. ვინაიდან შედარებით ახალი ავტომობილები იბეგრებიან უფრო დაბალი აქციზის განაკვეთით;
- მნიშვნელოვნად გაზრდილია ჰიბრიდულ და ელექტრო ძრავიანი ავტომობილების იმპორტი, რაც ასევე შემცირებული განაკვეთით იბეგრება: ჰიბრიდი - სტანდარტულ განაკვეთზე 60%-ით დაბალი განაკვეთით იბეგრება, ხოლო ელექტრო - სრულად განთავისუფლებულია გადასახადებისაგან (ჰიბრიდულ და ელექტრო ძრავიანი ავტომობილების წილი მთლიან იმპორტში ბოლო 4 თვის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში გაიზარდა 7%-იდან 42%-მდე);
- ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, მსუბუქი ავტომობილების იმპორტთან მიმართებაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუწესდათ დამატებითი შეღავათები. კერძოდ: ავტომობილები რომლებიც გამოგზავნილი იყო საქართველოში 2017 წლის 1 იანვრამდე და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი იქნა არაუგვიანეს 2017 წლის 31 მარტისა, მათთვის აქციზის გადასახადის განაკვეთები დარჩა უცვლელი. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში იმპორტირებული ავტომობილებზე აქციზი გადახდილი იქნა ძველი (შემცირებული) განაკვეთებით.

3. კომუნიკაციების აქციზი 2017 წელს 8.0%-იდან შემცირდა 3%-მდე და 2018 წლის იანვრიდან უქმდება.

- **იმპორტის გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 60.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.1 პროცენტს შეადგენს;
- **სხვა გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 160.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.4 პროცენტს შეადგენს.

➤ გრანტები - 335.0 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 70.0 მლნ ლარით, ზრდა გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადასაცემის სახსრების ასახვით (50.0 მლნ ლარი), ხოლო 20.0 მლნ ლარის ეფექტი გამოწვეულია საბიუჯეტო დახმარების სახით დონორებიდან მისაღები გრანტების გრაფიკის დაზუსტებით;

➤ სხვა შემოსავლები - 410.0 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 25.0 მლნ ლარით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია სახაზინო

სამსახურის მიერ ფულადი სახსრების მართვის ოპერაციების დაწყებით, რაც 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტს დამატებით სახსრებს მოუტანს.

- არაფინანსური აქტივების კლების სახით მისაღები თანხების გეგმა განსაზღვრულია 60.0 მლნ ლარის ოდენობით;
- ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 80.0 მლნ ლარის ოდენობით;
- ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია 2 038.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები - 1 288.0 მლნ ლარი;
 - მსოფლიო ბანკისგან მისაღები საბიუჯეტო კრედიტი - 350.0 მლნ ლარი;
 - სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა - 400.0 მლნ ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 38.8 მლნ ლარით და განისაზღვრა 12 403.3 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 10 950.3 მლნ ლარს, გრანტები - 165.0 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები - 1 288.0 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა იზრდება 27.6 მლნ ლარით და შეადგენს 9 532.2 მლნ ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1 399.3 მლნ ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1 202.3 მლნ ლარი;
- პროცენტი - 550.0 მლნ ლარი;
- სუბსიდიები - 441.1 მლნ ლარი;
- გრანტები - 1 303.6 მლნ ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 3 412.8 მლნ ლარი;
- სხვა ხარჯები - 1 223.0 მლნ ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული ასიგნება ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 11.1 მლნ ლარით და შეადგინა 1 444.3 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილია - 636.7 მლნ ლარი;

ვალდებულებების კლება შეადგენს 790.1 მლნ ლარს, საიდანაც 725.0 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 65.1 მლნ ლარი - საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების და დავალიანების დაფარვაზე.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 2017 წლის გეგმასთან შედარებით იზრდება 112.2 მლნ ლარით (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 1.0 მლნ ლარით) და შეადგენს 3 528.0 მლნ ლარს (ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 28.4%). აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
 - *სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის - 2 465.9 მლნ ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სოციალური ხარჯების დაფინანსება. (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით მოცემული პროგრამის ასიგნების 2.7 მლნ ლარით ზრდა გამოწვეულია „სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის გადმოტანით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა - 35 01“ პროგრამიდან);*
 - *ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის - 983.6 მლნ ლარამდე (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 800.0 ათასი ლარით, რომლის ფარგლებშიც ჯანმრთელობის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების დაფინანსება), მათ შორის:*
 - *მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამისთვის - 704.0 მლნ ლარი;*
 - *იმუნიზაცია - 22.4 მლნ ლარი;*
 - *C ჰეპატიტის მართვის პროგრამა - 16.0 მლნ ლარი;*
 - *ინფექციური დაავადებების მართვა - 10.5 მლნ ლარი;*
 - *ტუბერკულოზის მართვა - 15.6 მლნ ლარამდე;*
 - *აივ ინფექცია/შიდსის პროგრამა - 10.0 მლნ ლარზე მეტი,*
 - *დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია - 35.0 მლნ ლარი;*
 - *ფსიქიკური ჯანმრთელობა - 21.0 მლნ ლარი;*
 - *დიაბეტის მართვა - 13.0 მლნ ლარი;*
 - *სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება - 39.0 მლნ ლარი;*
 - *სოფლის ექიმი - 26.0 მლნ ლარი;*
 - *რეფერალური მომსახურება - 22.3 მლნ ლარი;*
 - *ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 10.0 მლნ ლარი;*
 - *ჯანმრთელობის ხელშეწყობა - 1.1 მლნ ლარი;*
და სხვა.
 - *სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის - 25.0 მლნ ლარი;*
 - *შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა - 3.7 მლნ ლარი, ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 200.0 ათასი ლარით, რაც მიიმართება შრომის ინსპექციის საქმიანობის ხელშესაწყობად.*
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 1 832.5 მლნ ლარი, რაც 574.5 მლნ ლარით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
 - *საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის - 1 283.2 მლნ ლარი, მათ შორის განხორციელდება შემდეგი საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია:*
 - *თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის მშენებლობა და რეკონსტრუქცია (ჩუმათელეთი-არგვეთა) - 250.0 მლნ ლარი;*

- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიაური-რიკოთი) – 80.0 მლნ ლარი;
- სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია-მშენებლობა - 150.0 მლნ ლარი;
- ბათუმის ახალი შემოვლითი გზა - 70.0 მლნ ლარი;
- ჩუმათელეთი-ხარაგაულის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია - 45.0 მლნ ლარი;
- ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა - 30 მლნ ლარი;
- ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია - 30.0 მლნ ლარი;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი IV (აგარა - ზემო ოსიაური) – 20.0 მლნ ლარი;
- ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა - 25 მლნ ლარი;
- სნო-ჯუთა-როშკა-მატილი-ომალო-ხადორის ხეობა - ბაწარა - ახმეტის მიმართულელებით საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა - 20.0 მლნ ლარი;
- სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა - 60.0 მლნ ლარი;
- მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა - 53.0 მლნ ლარი;
- თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა - 25.0 მლნ ლარი;
- ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია - 25.0 მლნ ლარი;
- თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა - 25.0 მლნ ლარი;
- მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა - 10.0 მლნ ლარი;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 262.0 მლნ ლარი, მათ შორის:
 - მთის კურორტებზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 60 მლნ ლარი;
 - მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - 71.0 მლნ ლარი (თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია და ბათუმის ნაპირდაცვის და სანაპირო ზოლის მოწყობა);
 - საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი - 45.0 მლნ ლარი;
 - რეგიონალური განვითარების პროექტი (კახეთი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) - ჯამში 43.7 მლნ ლარი;
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 254.9 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის 2018 წელს განხორციელდება:
 - ქუთაისის წყალარინების პროექტის ფარგლებში 368 კმ სიგრძის წყალარინების ქსელის და 30 სატუმბი სადგურის მოწყობა. ასევე, წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;
 - რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები - 12.0 მლნ ლარი, მათ შორის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში წყლის ხელოვნური რეზერვუარის მოწყობა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;
 - ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - 190.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია (მესტია, ანაკლია, ურეკი, ფოთი, ზუგდიდი, ჯვარი, ჭიათურა, გუდაური, ბაკურიანი, ბოლნისი, მარნეული), ასევე ქუთაისის

წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია და აბაშის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია;

- წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი - 12.5 მლნ ლარამდე, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია პროექტების განხორციელება კახეთის (თელავი-კურდღელაური, სიღნაღი, წნორი, საგარეჯო), შიდა ქართლის (დუშეთი), ქვემო ქართლის (ბოლნისი, წალკა) და სამცხე-ჯავახეთის (ლიკანი-წაღვერი) რეგიონებში.
 - საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი - 15.4 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარების, სატუმბი სადგურების და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ფოთი, ზუგდიდი, ურეკი, მარნეული, თელავი, წყალტუბო, მესტია, ანაკლია).
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება იზრდება 65.6 მლნ ლარით და გათვალისწინებულია 1 181.8 მლნ ლარამდე (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 3.0 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია პროფესიული განათლების პროგრამის დაფინანსების გაზრდით), მათ შორის:
 - ზოგადი განათლების დასაფინანსებლად - 681.1 მლნ ლარამდე, მათ შორის:
 - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - 598.9 მლნ ლარი;
 - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - 11.9 მლნ ლარამდე;
 - უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა - 12.8 მლნ ლარზე მეტი;
 - მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - 23.0 მლნ ლარამდე;
 - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 22.1 მლნ ლარი და სხვა;
 - პროფესიული განათლების დასაფინანსებლად - 40.8 1.0 მლნ ლარამდე;
 - უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად - 135.1 მლნ ლარზე მეტი;
 - მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 62.6 მლნ ლარი;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - 97.2 მლნ ლარზე მეტი;
 - დონორების დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიიმართება (მათ შორის ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - გრანტი) 116.8 მლნ ლარამდე;
 - სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 276.0 მლნ ლარი. ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 10.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია „სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა“ პროგრამის ფარგლებში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსების გაზრდით 4.0 მლნ ლარიდან 14.0 მლნ ლარამდე. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით კვლავ გრძელდება მუშაობა და ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადებისას გათვალისწინებული იქნება სათანადო რესურსი აღნიშნული მიმართულებით. გამოყოფილი თანხის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია:
 - სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების განვითარებისათვის - 98.7 მლნ ლარამდე;
 - შეღავათიანი აგროკრედიტებისათვის - 45.0 მლნ ლარი;
 - რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები - 17.0 მლნ ლარი;
 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები - 7.8 მლნ ლარამდე;
 - აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები - 9.0 მლნ ლარი;
 - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილია 251.4 მლნ ლარამდე;
 - თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 702.0 მლნ ლარი;

- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 605.0 მლნ ლარი, მათ შორის 20.0 მლნ ლარი გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო ტექნიკის შესყიდვისთვის;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 123.0 მლნ ლარი;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 145.0 მლნ ლარი;
- ენერგეტიკის სამინისტროსათვის გამოყოფილია 131.0 მლნ ლარი (*მ.შ. გაზიფიკირების სამუშაოებისთვის 30.0 მლნ ლარი*);
- საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 118.0 მლნ ლარი. ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 4.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია საგარეო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობით, მათ შორის საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების - საელჩოების დაფინანსების გაზრდით, ასევე დიასპორული პოლიტიკის პროგრამის დაფინანსებით; ამასთან, საკომიტეტო მოსმენებზე გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით დიასპორული პოლიტიკის პროგრამა გამოყოფილია ცალკე ქვეპროგრამად (28 01 04);
- კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 131.0 მლნ ლარი. ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 14.5 მლნ ლარით, რაც დაკავშირებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, თეატრების და მუზეუმების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებით. ასევე, ფრანქფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე საქართველოს წარდგენის ღონისძიების დასაფინანსებლად გათვალისწინებული ასიგნება გაიზარდა დამატებით 500.0 ათასი ლარით და შეადგინა 17.0 მლნ ლარამდე;
- იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილია 62.0 მლნ ლარი;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის გამოყოფილია 96.0 მლნ ლარამდე;
- სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 168.7 მლნ ლარი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 3.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების, მათ შორის სპორტულ სახეობათა განვითარების ღონისძიებების დაფინანსების გაზრდით) მათ შორის:
 - *სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლება - 26.5 მლნ ლარი, მათ შორის ქ. თბილისში ჭიდაობის სახლის მშენებლობა;*
 - *2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება - 25 მლნ ლარი;*
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 46.0 მლნ ლარი. ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით სამინისტროს ასიგნებები გაზრდილია 3.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია მათ შორის:
 - *ტყის მცველებისა და დაცული ტერიტორიების რეინჯერების რაოდენობის დამატებით ასევე მათი ხელფასების მოწესრიგებით;*
 - *სწრაფი რეაგირების სამსახურის გაძლიერების მიზნით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის, როგორც ავტოპარკის განახლებისთვის, ასევე დამატებით ეკიპაჟების ფუნქციონირებისთვის საჭირო სახსრები;*
 - *გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის ამოქმედებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისთვის შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინებით, მათ შორის სამინისტროს აპარატის რიცხოვნობის 20 ერთეულით გაზრდით.*

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 82.3 მლნ ლარს და შენარჩუნებულია 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ნიშნულზე;

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა შეადგენს 2 457.3 მლნ ლარს, მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 1 015.0 მლნ ლარი;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 295.0 მლნ ლარი
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის გათვალისწინებულია 260.0 მლნ ლარი;
- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებულია 20.0 მლნ ლარი;
- მთავრობის სარეზერვო ფონდი 50.0 მლნ ლარით, ხოლო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5.0 მლნ ლარით განისაზღვრა.
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა 2017 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 44.9 მლნ ლარით და შეადგენს 720.0 მლნ ლარს. ამასთან იმ მუნიციპალიტეტებს ტრანსფერი, რომლებიც „გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის N987-III დადგენილების საფუძველზე ერთიანდება, განისაზღვრება 2017 წელს ამ მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერის ჯამით და შესაბამისად გაერთიანების შედეგად ამ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი არ შემცირდება.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2 060.3 მლნ ლარი (მშპ-ს 5.1%);
- თავდაცვა - 631.4 მლნ ლარი (მშპ-ს 1.5%);
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 062.0 მლნ ლარი (მშპ-ს 2.6%);
- ეკონომიკური საქმიანობა - 1 876.7 მლნ ლარი (მშპ-ს 4.6%);
- გარემოს დაცვა - 62.3 მლნ ლარი (მშპ-ს 0.2%);
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 40.5 მლნ ლარი (მშპ-ს 0.1%);
- ჯანმრთელობის დაცვა - 1 087.0 მლნ ლარი (მშპ-ს 2.7%);
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 318.6 მლნ ლარი (მშპ-ს 0.8%);
- განათლება - 1 236.4 მლნ ლარი (მშპ-ს 3.0%);
- სოციალური დაცვა - 2 601.3 მლნ ლარი (მშპ-ს 6.4%);

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვერსიას თან ერთვის ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს პარლამენტის კომიტეტების რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ. ამასთან, კანონპროექტის განხილვა გაგრძელდება საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს სამინისტროების წარმომადგენლებთან. ბიუჯეტის ძირითადი მაკრო-ფისკალური პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

– კანონის პროექტი განსაზღვრავს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

– კანონის პროექტი განსაზღვრავს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს;

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

– კანონის პროექტი განსაზღვრავს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

–

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

–

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

–

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ;

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.